ხატია იმერლიშვილი •

სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების ფორმირების ეტაპები და შედეგები საქართველოს მაგალითზე 2016-2022 წლებში

აბსტრაქტი

სტუდენტური პროტესტი შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვადასხვა ფაქტორით და გარემოებებით, იქნება ეს სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზეზები, ამიტომ საჭიროა ამ მიზეზების აკადემიური შესწავლა და აღნიშნულ ცვლადებს შორის კავშირის გამოკვეთა. შესაბამისად, ნაშრომის მიზანია შეისწავლოს თანამედროვე საქართველოში, "აუდიტორია 115"-სა და "მაისის სტუდენტური მოძრაობის" მაგალითზე, სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების ფორმირების ეტაპები და შედეგები. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდოს, კერძოდ მეორეული წყაროების ანალიზს - კვლევის ფარლებში შესწავლილი და გაანალიზებულია კვლევითი ნაშრომები, სტატიები, განცხადებები და ინტერვიუები.

ნაშრომში განხილულია თუ როგორ მოხდა აღნიშნული მოძრაობების ფორმირება, რა წარმოადგენდა მათ ძირითად მოთხოვნებს და პროტესტის რა ფორმებს იყენებდნენ საწყის ეტაპზე. პარალელურად განხილულია, როგორ ხდებოდა უნივერსიტეტისა თუ სხვადასხვა უწყებების მხრიდან სტუენტური მოძრაობების მოთხოვნების დაკმაყოფილება და რა შედეგები ჰქონდა მათ საპროტესტო აქტივობებს. ამავდროულად, მოცემული ნაშრომი საშუალებას გვაძლევს შედარებით კონტექსტში განვიხილოთ, რამდენად იდენ-

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი.

ტურია შესწავლილი სტუდენტური მოძრაობების მოთხოვნები, პროტესტის სახეები თუ გამოხატვის ფორმები.

საკვანძო სიტყვები: სტუდენტური მოძრაობა, სტუდენტური პროტესტი, საპროტესტო მოძრაობა, აუდიტორია 115, მაისის მოძრაობა.

შესავალი

თანამედროვე და წარსული აკადემიური კვლევები ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების აქტუალურობა 1960-იანი წლებიდან დრამატულად იზრდებოდა (Burgess & Hofstetter, 1971). მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტური რევოლუციების ეპოქა შეიძლება ნახევარი საუკუნის წინ დასრულდა, სტუდენტები კვლავ აგრძელებენ აქტიურ პოლიტიკას და ისინი ხშირად არიან ძირითადი ძალა პოლიტიკურ მოძრაობებში, რომლებიც მიმართულია სოციალური ცვლილებებისკენ მთელ მსოფლიოში (Altbach & Klemenčič, 2014). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის სტუდენტური მოძრაობები მსოფლიოს მასშტაბით, საკმაოდ აქტუალურ როლს თამაშობენ, ეს მოძრაობები გავლენას ახდენენ როგორც საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე, აგრეთვე ხშირ შემთხვევაში ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზეც. "სტუდენტური მოძრაობები ცვლილებების შეტანას ემსახურებიან, ისინი აჟღერებენ ახალგაზრდების ხმას და ცდილობენ სამყაროში არსებულ სივრცეში ცვლილებების შეტანას" (Tjhatra, 2022). ისტორიულად, კრიზისის დროს, სტუდენტური აქტივიზმი გადამწყვეტი ძალა იყო სოციალური ცვლილებებისთვის. სტუდენტები მთელს მსოფლიოში იყვნენ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ხელშემწყობი მოძრაობების სათავეში (Omatsu, 2002).

სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების ჩამოყალიბება სხვადასხვა მიზეზებთანაა დაკავშირებული, აღნიშნული მიზეზების კვლევა კი ნებისმიერ სამეცნიერო საზოგადოებაში აქტუალური და მნიშვნელოვანია. როგორც მკვლევარები მიუთითებენ სტუდენტები შესაძლოა გაერთიანდნენ ინსტიტუციური, ფართო სოციალ-

ურ-პოლიტიკური ან თაობათა ცვლის და სხვა მიზეზებით (Lipset & Altbach, 1966). მაგალითად, სტუდენტური საპროტესტო ტალღის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხთაგანი შესაძლოა გახდეს თავად სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პოლიტიკის ფორმულირებასა და ცვლილებებში მონაწილეობის მიღება. სტუდენტები აყენებენ მოთხოვნებს სასწავლო გეგმის შემუშავებასა და შინაარსში, პედაგოგების შერჩევაში საუნივერსიტეტო ტერიტორიების განვითარებასა და ადმინისტრაციული საკითხების მოწესრიგებაში (Herr, 1972). აღნიშნული პრაქტიკა საკმაოდ ახლოსაა საქართველოს მაგალითთან, ვინაიდან ნაშრომის ფარგლებში შერჩეული მოძრაობების ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას სწორედ ადმინისტრაციული საკითხების მოგვარება წარმოადგენს/წარმოადგენდა (Liberali.ge, 2016). ამავდროულად, ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, სწავლის გადასახადის წინააღმდეგ ბრძოლა რჩება სტუდენტური აქტივიზმის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მამობილიზებელ ძალად მთელ მსოფლიოში.

სოციალური კეთილდღეობის სხვა პრობლემები კი - როგორიცაა სტუდენტური საცხოვრებელი, სუბსიდირებული საკვები და ტრანსპორტი - ზოგჯერ იწვევს ადგილობრივი სტუდენტური გაერთიანებების მიერ წამოწყებულ უფრო ლოკალურ პროტესტს და როგორც წესი, საკმაოდ სწრაფად წყდება. აღნიშნული მიდგომა საინტერესოა იმ მხრივ, რომ სწორედ ღირსეული საცხოვრისი წარმოდგენს მთავარ მოთხოვნას კვლევის ფარლებში შესასწავლი მოძრაობისთვის, "მაისის სტუდენტური მოძრაობა" (Radiotavisupleba.ge, 2022). ამავდრიულად, მეცნიერები განმარტავენ, რომ ხარისხის უზრუნველყოფა თითქმის არასოდეს არის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომ სტუდენტები მობილიზებულნი იყვნენ პოლიტიკური ქმედებებისთვის (Altbach & Klemenčič, 2014). ალთბაქი და კლემენჩი ასევე გამოყოფენ ერთ საკმაოდ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში სტუდენტური აგიტაცია, რომელიც ხშირად დაკავშირებულია კამპუსის საკითხებთან, იწვევს უნივერსიტეტების დიდი ხნით დახურვას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გა-

ვიხსენოთ საქართველოს გამოცდილება, როდესაც 2017 წლის სტუდენტთა საპროტესტო ტალღას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ერთ-ერთი კორპუსის პიკეტირება მოჰყვა, რამაც სასწავლო პროცესი გარკვეულწილად შეაფერხა (Interpressnews.ge, 2017). ზოგიერთ წყაროში წარმოდგენილია სტუდენტთა საპროტესტო ტალღის უფრო მასშტაბური მიზეზებიც, მაგალითად, როგორებიცაა ეკოლოგიური პრობლემები, ომის საწინააღმდეგო, ტექნოლოგიური განვითარებიდან მომდინარე გამოწვევები, მედიის გავლენა, ასევე, ტრადიციული რელიგიური ღირებულებებიდან გამომდინარე პროტესტები (Halleck, 1971).

ნაშრომის მიზანია გამოკვეთოს სტუდენტური საპროტესტო მოძრაობების სახეები და ფორმირების ეტაპები საქართველოს მაგალითზე 2016-2022 წლებში. კვლევა ეფუძნება არაალბათური შერჩევის ტიპს, კერძოდ მიზნობრივ შერჩევას. ბოლო პერიოდში საქართველოში არსებული სტუდენტური საპროტესტო მოძრაობებიდან „აუდიტორია 115“, გარდა თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტისა, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც გავრცელდა. მასშტაბურობიდან გამომდინარე ერთ-ერთ კვლევის ობიექტად სწორედ აღნიშნული საპროტესტო მოძრაობა შეირჩა. რაც შეეხება კვლევისთვის შერჩეულ მეორე მოძრაობას - ამ შემთხვევაში შესწავლილია ამ ეტაპისთვის ყველაზე აქტუალური და გახმაურებული ბოლო სტუდენტური საპროტესტო მოძრაობა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახლაც მიმდინარეობს - „მაისის სტუდენტური მოძრაობა“. კვლევის ჩასატარებლად გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, მეორეული წყაროების ანალიზი, შესწავლილი და გაანალიზებული იქნა კვლევითი ნაშრომები, სტატიები, განცხადებები, ინტერვიუები.

აუდიტორია 115

სტუდენტური მოძრაობა - “აუდიტორია 115” 2016 წლის მარტში, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა. მათი თავდაპირველი პროტესტი თსუ-ის სტუდენ-

ტური თვითმმართველობის სისტემის წინააღმდეგ იყო მიმართული. თსუ-ის თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე დახარჯული 24 600 ლარი, სტუდენტების ნაწილის უკმაყოფილების მიზეზი გახდა, რამაც ბიძგი მისცა პროტესტის ახალ ტალღას (მანდარია, 2017). თავდაპირველად "სტუდენტები ითხოვდნენ, გიორგი გაფრინდაშვილს კანცლერის პოსტზე საკუთარი კანდიდატურა მოეხსნა. ასევე, უნივერსიტეტის ავტონომიას, ე. წ. ოდეერის თსუ-ში ყოფნის საკითხის გამოძიებას და სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმას" (tabula.ge, 2016). მათი ერთ-ერთი მოთხოვნა მალევე დაკმაყოფილდა, პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა, გიორგი გაფრინდაშვილს სთხოვა, რომ თსუ-ის კანცლერის პოსტზე კანდიდატურა მოეხსნა (14 მარტს გიორგი გაფრინდაშილმა კანდიდატურა მოხსნა) (ქოქოშვილი, 2016) რამდენიმე დღეში აღნიშნულ მოთხოვნებს აკადემიური საბჭოს დაშლის საკითხი დაემატა. მოთხოვნების საპასუხოდ განათლების მინისტრის მაშინდელმა მოადგილემ გია შერვაშიძემ "აუდიტორია 115"-ის წევრებს შესთავაზა, რომ მათი წარმომადგენელი დასწრებოდა შეხვედრას, რომელშიც განათლების მინისტრი, აკადემიური საბჭოსა და სენატის წევრები, თსუ-ს რექტორი ვლადიმერ პაპავა და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები მონაწილეობენ, თუმცა აღნიშნულ შეთავაზებაზე სტუდენტებმა უარი განაცხადეს (tabula.ge, 2016).

მოთხოვნების ფონზე მიმდინარეობა აქციები თსუ პირველ კორპუსში, რის შემდეგაც პარალელურად დაიწყო თვითმმართველობის აქციებიც (მეფარიშვილი, 2016). 16 მარტს აუდიტორია 115-ის წევრებმა უნივერსიტეტის შენობა დატოვეს, რის შემდგომაც ირაკლი კუპრაძემ განაცხადა "აუდიტორია 115 ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოდის. ჩვენ მიერ დაყენებული სამივე საკითხი დაკმაყოფილებულია. ეს ეხება კანცლერობის კანდიდატის მოხსნას, რომელიც რამდენიმედღიანი ბრძოლის შემდეგ დაკმაყოფილდა. დანარჩენი ორი საკითხი არის გრძელვადიანი, რომლებიც ეხება უნივერსიტეტის თვითმმართველობის რეფორმირებას და ოდეერებისგან უნივერსიტეტის გათავისუფლებას, რასთან დაკავშირებითაც გა-

ნათლების სამინისტროს მხრიდან გამოითქვა მზაობა და გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები" (tabula.ge, 2016). მოცემული მოვლენების შემდგომ სტუდენტებმა ოფიციალურად დაარსეს მოძრაობა "აუდიტორია 115" და უნივერსიტეტის რეფორმების საბჭო შექმნეს "ვაარსებთ მოძრაობას აუდოტორია N 115, რომელიც განათლების სისტემის რეფორმის ფუნდამენტური ნაწილი გახდება. აუდიტორია N 115 შექმნის თსუ-ს რეფორმირების საბჭოს, რომელშიც ფართოდ იქნებიან წარმოდგენილი სტუდენტები და ლექტორები" (tabula.ge, 2020). "აუდიტორია 115"-ის მოთხოვნები კი შემდეგი სახით ჩამოყაიბდა: აკადემიური საბჭოს დაშლა, მისი სტრუქტურისა და არჩევის წესის რეორგანიზება; თვითმმართველობის სასწრაფო რეორგანიზაცია, განათლების შესახებ კანონში ცვლილების შეტანის გზით; აკადემიური საბჭოს გარდა საკანონმდებლო ცვლილებები რექტორის, სენატის და სხვა ინსტიტუტების არჩევის წესთან დაკავშირებით; საგანმანათლებლო სივრცის სრულ გათავისუფლებას ე.წ. ოდეერებისგან;

პროტესტი ერთი თვის თავზე კვლავ გააქტიურდა, 16 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან განათლების სისტემის რეფორმის მოთხოვნით აქცია გაიმართა, სტუდენტები პრემიერთან შეხვედრას ითხოვდნენ, უნივერსიტეტიდან პროტესტი კანცელარიასთან განაგრძეს, მათ სხვა უნივერსიტეტებიდან სტუდენტებიც შეუერთდნენ (tabula.ge, 2016). შემდეგ თსუ მე-6 კორპუსი დაიკავეს და შესასვლელი კარი აჭედეს, მათი მოთხოვნები უცვლელი იყო - შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან და განათლების რეფორმა. სტუდენტების მხარდასაჭერად უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში აქცია-კონცერტი გაიმართა (tabula.ge, 2016). მოძრაობის წევრებმა ამჯერადაც 4 მოთხოვნა წარმოადგინეს: 1.უნივერსიტეტში სტუდენტთა წარმომადგენლობას უნდა ახორციელებდნენ საფაკულტეტო საბჭოებსა და სენატში არჩეული წევრები. ყველა სხვა სტუდენტური სტრუქტურა უნდა გაუქმდეს; 2.დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს რექტორისა და აკადემიური საბჭოს არჩევის წესი, აკადემიური საბჭოს შემადგენლობა; 3.ვითხოვთ პრემიერ-მინისტრის მოსვლას I

კორპუსის #115 აუდიტორიაში (პირობითად 16:00 საათზე). მთავრობის თავმჯდომარემ პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: - არის თუ არა მზად მმართველი ძალა, წინა ორ პუნქტში აღნიშნული ცვლილებების დაუყოვნებლივ გასატარებლად. კანონი ამ მოწვევის პარლამენტმა უნდა შეცვალოს! - გატარდება თუ არა განათლებისა და მეცნიერების რეფორმა 2013 წელს შემუშავებული კონცეფციის მიხედვით; მზად არის თუ არა მთავრობა გარე რეაგერირების მექანიზმის დასანერგად; რა იგეგმება უნივერსიტეტებში სწავლების ხარისხის ასამაღლებლად; - გაიზრდება თუ არა უნივერსიტეტის დაფინანსება; 4.ოდეერების საქმის გამოძიება",- ამბობდნენ სტუდენტები.

აღსანიშნავია, რომ იმავე დღეს პრემიერ-მინისტრი აუდიტორია 115-ში სტუდენტებს შეხვდა, რის შემდეგაც მათ მე-6 კორპუსის დატოვების გადაწყვეტილება მიიღეს (tabula.ge, 2016). მოძრაობის წევრებისა და პრემიერის შეხვედრები შემდგომ მთავრობის კანცელარიაშიც გაგრძელდა (www.ambebi.ge, 2016). აპრილშივე, “აუდიტორია 115”-ის წევრებმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შენობასთან, დაორგანიზეს აქცია „არა პოლიციურ რეჟიმს!”, მოძრაობის წევრები მათ მიმართ განხორციელებულ ზეწოლასა და უნივერსიტეტში ე.წ. ოდეერების არსებობას აპროტესტებდნენ (დიასამიძე, 2016).

24 მაისს სტუდენტებმა განაცხადეს, რომ თვითმმართველობის 20-მდე წევრმა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა აუდიტორია 115-ის ერთ-ერთ წევრ ცოტნე ცხვედიანს. ისინი მოითხოვდნენ, რომ 25 მაისს, 18:00 საათამდე მთავრობის წევრებს მიიღოთ „პოლიტიკური გადაწყვეტილება" და საჯაროდ განეცხადებინათ, რომ სტუდენტური თვითმმართველობა უახლოეს მომავალში გაუქმდება და უნივერსიტეტში არანაირი ერთიანი და ცენტრალიზებული სტუდენტური ორგანიზაცია არ იარსებებდა (tabula.ge, 2016). რის შემდეგაც აქცია გამართეს და მეორე დღეს სტუდენტური თვითმმართველობის ორი ოთახი დაიკავეს (www.interpressnews.ge, 2016). უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა განათლებისა

და მეცნიერების სამინისტრო და სტუდენტებს შეხვედრა შესთავაზა. უწყების განცხადებით, მათთვის ულტიმატუმის ენით საუბარი მიუღებელია (tabula.ge, 2016).

„აუდიტორია 115”-ის პროტესტი გაგრძელდა ახალი სასწავლო სემესტრის დაწყების პარალელურად, მოძრაობის წევრებმა საპროტესტო აქცია გამართეს სასწავლო პროცესის პირველივე დღეს. აუდიტორია 115-ის წევრები სცენაზე ავიდნენ, გამომსვლელებს, რომლებიც სტუდენტებისთვის ახალი სასწავლო წლის მილოცვას აპირებდნენ, მიკროფონები გამოართვეს და თავად მიესალმნენ პირველკურსელებს. თბილისის მერს, განათლების მინისტრს და ახლადარჩეულ რექტორს სიტყვით გამოსვლის საშუალება არ მისცეს (tabula.ge, 2016). აღსანიშნავია, რომ განათლების ახალ მინისტრს, ალექსანდრე ჯეჯელავას, „აუდიტორია 115” მანამდეც იწვევდა თსუ-ში საკითხების განსახილველად (www.interpressnews.ge, 2016).

„აუდიტორია 115”-ის მოთხოვნები გააქტიურდა თვითმართველობის არჩევნების კვლადაკვალ. „აუდიტორიის” წევრები თსუ მე-6 კორპუსის შენობაში შევიდნენ და კორპუსის პიკეტირება მოახდინეს. როგორც მოძრაობის წევრები ამბობდნენ, ისინი არ აპირებდნენენ თვითმმართველობას არჩევნების ჩატარების საშუალება მიეცათ (netgazeti.ge, 2016). ამავდროულად, აქცია გაიმართა 25 ნოემბერს, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების პარალელურად, მათი მოთხოვნები შემდეგი იყო: დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა „უმაღლესი განათლების შესახებ კანონში" 45-ე მუხლის გასაუქმებლად, რაც გულისხმობს თვითმმართველობის არსებული მოდელის გაუქმებას. შემუშავდეს საფაკულტეტო საბჭოში სტუდენტების არჩევის პირდაპირი წესი; კონსტიტუციაში განისაზღვროს განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების ქვედა ზღვარი, მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდებით; გამოიყოს თანხა, უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის სრული რეაბილიტაციისთვის; სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების გაუქმებას; საფაკულტეტო საბჭოს არჩევნები, პირდაპირი წესით გამართულიყო მას შემდეგ, რაც მოხდებოდა კანონის ცვლილება; უნივერსიტეტის რექ-

ტორმა, შეასრულოს წინასაარჩევნო დაპირება და სასწრაფო წესით დაინერგოს უნივერსიტეტში გარე რეფერირების მექანიზმი" (on.ge, 2016). გარდა ამისა, დაემატა კიდევ ერთი მოთხოვნა, მოძრაობის წევრები სტუდენტური საერთო საცხოვრებელის სრულად რეაბილიტირებასა და მეცნიერების დაფინანსების გაზრდას მოითხოვდნენ

7 მარტს სტუდენტთა ერთი მოთხოვნა დაკმაყოფილდა და პარლამენტის განათლების საკითხების კომიტეტმა უმაღლესი განათლების შესახებ კანონში 45-ე მუხლის ცვლილების კანონპროექტი დაარეგისტრირა (მანდარია, 2017). კანონპროექტის დარეგისტრირების შემდეგ აუდიტორია 115-მა თსუ მე-6 კორპუსის სამთვიანი პიკეტირებაც შეწყვიტა (on.ge, 2017).

გარდა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მიმდინარე საკითხებისა, "აუდიტორია" 115 აქტიურად იყო ჩართული ქვეყანაში მიმდინარე სხვა საპროტესტო აქციებშიც. მაგალითად:

- საზოგადობრივ მაუწყებელთან მიმდინარე აქციის მონაწილეების ნაწილი ტელევიზიის შენობაში შეიჭრა. ისინი არხზე პირდაპირი ეთერის დათმობას ითხოვდნენ. აქცია "მწვანე მუშტის" მიერ იყო ორგანიზებული, მათ "აუდიტორია 115"-ის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ (tabula.ge, 2017).

- "ბიბლუსი გალერეაში" "აუდიტორია 115"-ის წევრები განხორციელებულ როტაციის პროცესს და ორი თანამშრომლის გათავისუფლებას აპროტესტებდნენ (www.ambebi.ge, 2017).

- აუდიტორია 115-ის წევრებმა პარლამენტის წინ აქცია გამართეს, რაც ტყიბულში მომხდარი უბედური შემთხვევის შემდეგ დაიგეგმა. აქციის მონაწილეები შრომითი ინსპექციის შექმნას მოითხოვენ (tabula.ge, 2017).

- „საქართველოს რკინიგზის" დეპარტამენტის წინ გამართულ აქციას "აუდიტორია 115"-ის წევრები შეუერთდნენ (ხაჭაპურიძე, 2017). "აუდიტორია 115" და სხვა მონაწილეები „ქმედითი შრომის ინსპექციის" არსებობასა და შრომის უსაფრთხოებაზე ზრუნვას ითხოვდნენ (tabula.ge, 2018).

- აქციას პარლამენტთან, ტყიბულში დაღუპული და დაშავებული მეშახტეების მხარდასაჭერად, შეუერთდნენ "აუდიოტირია 115"-ის წევრები (tabula.ge, 2018).

მაისის სტუდენტური მოძრაობა

"მაისის სტუდენტური მოძრაობის" აქციები 20 აპრილს, პანდემიის დასრულების შემდგომ დაიწყო. პანდემიის დასრულების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გადაწყვეტილება სწავლის დისტანციური რეჟიმის დასრულების თაობაზე სტუდენტების პროტესტის საგანი გახდა. 20 აპრილს დაორგანიზდა აქცია. თსუ პირველ კორპუსთან, მონაწილეები მოითხოვდნენ სასწავლო წლის დისტანციურ რეჟიმში დასრულებას. მათი განცხადებით, თბილისში გასაქირავებელი ბინების ფასის გაძვირებიდან გამომდინარე, რეგიონში მცხოვრებ სტუდენტებს არ ჰქონდათ საშუალება თბილისში ბინის ქირის საფასური გადაეხადათ. პროტესტი სამი კვირის განმავლობაში გაგრძელდა (თარხნიშვილი, 2022). უნივერსიტეტს განათლების სამინისტორმაც მიმართა და ჰიბრიდულ სწავლებაზე გადასვლისკენ მოუწოდა (formulanews.ge, 2022). სტუდენტების პროტესტის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გადაწყვიტა, რომ სწავლა ჰიბრიდულ, ანუ შერეულ ფორმატში გაგრძელდებოდა (ობოლაძე, 2022).

აღნიშნული გადაწყვეტილების პარალელურად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ 13 მაისს განაცხადა, რომ 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დასკვნითი და დამატებითი გამოცდები აუდიტორიებში ჩატარდებოდა ყველასთვის, გარდა იმ სტუდენტებისა, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფებიან (თარხნიშვილი, 2022). სტუდენტები ფინალური გამოცდების ჩაბარებას თბილისის გარდა კიდევ ორ ქალაქში - ქუთაისსა და ახალციხეში შეძლებდნენ (tabula.ge, 2022). აღნიშნული საკითხი სტუდენტებისათვის ახალი პროტესტის საგნად იქცა, ისინი გამოცდების ონლაინ ან ჰიბრიდულ რეჟიმში ჩატარებას ითხოვდნენ, რის შემდეგაც 6 ივნისს სტუდენტებმა უნივერსიტეტის რექტორის, გიორგი შარვა-

შიძის გადადგომა და რექტორის არჩევის წესის ცვლილება მოითხოვეს (studinfo.ge, 2022). გარდა აღნიშნული მოთხოვნებისა სტუდენტებს ჰქონდათ სხვა მოთხოვნებიც: უნივერსიტეტის ფინანსური გამჭვირვალობა, ღირსეული სტუდენტური საერთო საცხოვრებელი ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტისთვის, სტუდენტები ითხოვდნენ გიორგი შარვაშიძესთან შეხვედრას და იმყოფებოდნენ მის კაბინეტთან (თარხნიშვილი, 2022).

საპროტესტო ტალღის ფორმირების პროცესში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ივნისი დასაწყისი, როდესაც სტუდენტებმა დაიკავეს კანცელარიის ოთახი, იქამდე სანამ რექტორი მათ არ შეხვდებოდა, ამ პერიოდში მათ მთავარი მოთხოვნა გიორგი შარვაშიძის გადადგომა და რექტორის არჩევის წესის ცვლილება გახდა, ხოლო სხვა მოთხოვნებმა უკანა პლანზე გადაიწია (formulanews.ge, 2022). პროტესტმა საკმაოდ მძაფრ ფორმებს მიაღწია 10 ივნისს, როდესაც სტუდენტებმა რექტორის კაბინეტი დაიკავეს, რასაც წინ უძღვოდა დაპირისპირება თსუ-ის თანამშრომლებთან. ამასთან დაკავშირებით მოძრაობამ განცხადებაც გაავრცელა: “სიტუაციის გამწვავება გამოიწვია რამაზ ხომერიკის აქციაზე გამოჩენამ, რომელიც აქტიურად იცავდა "რექტორის კაბინეტს".. ჩვენს ინტერესებში არ შედიოდა რომელიმე წარმომადგენლის ჯანმრთელობის შესაძლო დაზიანება. ამასთანავე, ბატონი რამაზი საკუთარი პოსტის კომენტარში აღნიშნავს, რომ ეს არ ყოფილა მიზანმიმართული ფიზიკური შეურაცხყოფა. ჩვენ არ გვსურდა მოვლენების ამგვარად განვითარება, შესაბამისად სტუდენტური მოძრაობა ბოდიშს იხდის პროტესტის გამოხატვის თავისუფლების გადამეტებისთვის" (publika.ge, 2022). დაპირისპირებასთან დაკავშირებით, განცხადებები გაავრცელეს განათლების სამინისტრომ: “ვგმობთ პროტესტის გამოხატვის ძალადობრივ ფორმებს” (cnews.ge, 2022) და თსუ-ის პროფესორებმა: განვითარებული მოვლენები კატეგორიულად მიუღებელი და შეუსაბამოა (www.tsu.ge, 2022). სტუდენტთა მოთხოვნებს 13 ივნისს კიდევ ერთი მოთხოვნა დაემატა: განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან, მიხეილ ჩხენკელთან შეხვედრა. პარალელურად თსუ-მ

სტუდენტებს რექტორატის დატოვება და მოლაპარაკების ფორმატზე გადასვლა შესთავაზა (tvpirveli.ge, 2022). რის შემდეგაც სტუდენტებთან მოხდა შეთანხმება სამუშაო ჯგუფების შექმნაზე, თუმცა გამოცდების ცენტრებში ჩატარება კვლავ უცვლელი დარჩა (tabula.ge, 2022)

2022 წლის 7 ოქტომბერს თსუ-ის რექტორმა, გიორგი შარვაშიძემ, გაავრცელა განცახდება, რომ თანამდებობას ტოვებდა (netgazeti.ge, 2020). ამის შემდეგ მოძრაობამ გამართა აქცია მოწოდებით "რექტორის დემოკრატიულად არჩევისთვის! საერთო საცხოვრებლისთვის!" (მაისის სტუდენტური მოძრაობა, 2022). 2023 წლის 14 თებერვალს თსუ-მ გაავრცელა განცახდება, რომ სტუდენტებისთვის საცხოვრებლის მშენებლობა იწყებოდა (www.tsu.ge, 2023).

2023 წლის 3 მარტს მოძრაობამ გაავრცელა პეტიცია, რომლის ადრესატი განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იყო: "ღირსეული სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს!" "მაისის სტუდენტური მოძრაობა" ახალი სასწავლო სემესტრის დაწყებასთან ერთად, ონლაინ პეტიციის პარალელურად, სტუდენტების ხელმოწერებს შეაგროვებს აპირებდა უშუალოდ საუნივერსიტეტო სივრცეში (manifest.ge, 2023).

3 ივნისს "მაისის სტუდენტურმა მოძრაობამ" განცხადებით მიმართა განათლებისა და მეცნიერების ახალ მინისტრს, გიორგი ამილახვარს, სადაც კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბეს მოთხოვნები: "1. სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მშენებლობა ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის სახელმწიფოს მიერ სრული დაფინანსებით; 2.სახელმწიფო სტიპენდიის გაზრდა; 3.რექტორის არჩევის წესის ცვლილება, რომ რექტორი არა 38 წევრისგან შემდგარ აკადემიურ საბჭოს, არამედ ყველა პროფესორს აეირჩია (მაისის სტუდენტური მოძრაობა, 2023).

გარდა საუნივერსიტეტო ცხოვრების საკითხისა, "მაისის სტუდენტური მოძრაობა" მოძრაობა ახორციელებდა შემდეგი სახის საპროტესტო აქტივობებს: მხარს უჭერდა მეტროს მემანქანეების მოთხოვნებს, დასაქმებული მშრომელებისათვის უკეთესი პირობების

შექმნას” სოლიდარობას უცხადებდა კურიერებს და საირმეში გაფიცულ მშრომელებს. სოლიდარობა გამოუცხადა ბანკისგან გაღარიბებულებს და ექსპლუატირებულებს. „ლიბერთი ბანკი ძარცვავს ჩვენს ბებიებს და ბაბუებს, ისინი მათი სიღარიბით მდიდრდებიან!” (მაისის სტუდენტური მოძრაობა, 2023). მოაწყო “საპირველმაისო მსვლელობა - საერთო სიკეთისთვის”, “სტუდენტების მსგველობა მაღაროელებისკენ!” (მაისის სტუდენტური მოძრაობა, 2023).

დასკვნა

შეიძლება დავასკვნათ, რომ შესწავლილი სტუდენტური მოძრაობების ფორმირების ეტაპები მსგავსი სახის იყო. თავდაპირველად პროტესტი ორივე შემთხვევაში ადმინისტრაციული ხასიათის ცვლილებების მოთხოვნით იწყებოდა, ერთ შემთხვევაში ეს კონკრეტული საუნივერსიტეტო სტრუქტურის ფორმირებას ეხებოდა, ხოლო მეორე შემთხვევაში უშუალოდ სასწავლო პროცესს უკავშირდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაციის საკითხი ორივე მოძრაობის ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა. ორივე შესწავლილი მოძრაობა მოითხოვდა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის, საარჩევნო წესის ცვლილებებს, “აუდიტორია 115”-ის შემთხვევაში ეს აკადემიური და საფაკულტეტო საბჭოების არჩევის წესის ცვლილებას ეხებოდა, ხოლო “მაისის სტუდენტური მოძრაობის” შემთხვევაში რექტორის არჩევის წესის ცვლილებას. ორივე მოძრაობის შემთხვევაში სტუდენტები ითხოვდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრას. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა “აუდიტორია 115-ის” შეხვედრები პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან.

აღსანიშნავია, რომ შესწავლილი მოძრაობების შემთხვევაში, მსგავსი იყო პროტესტის გამოხატვის ფორმებიც. გარდა პერმანენტულად ორგანიზებული აქვიებისა, აღნიშნულ კონტექსტში საინტერესოა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ოთახების დაკავება, (მაგალითად რექტორის კაბინეტის, კანცელარიის ოთახის და ა.შ.).

“აუდიტორია 115”-ის შემთხვევაში მსგავს საპროტესტო აქტივობებს კიდევ უფრო მასშტაბური ხასიათი ჰქონდა, როდესაც მოძრაობის წევრებმა ორჯერ დაიკავეს უნივერსიტეტის მე-6 კორპუსი.

ბოლოს ძალიან მნიშვნელოვანია გამოვკვეთოთ, რომ ორივე მოძრაობა დღემდე აქტიურადაა ჩართული ქვეყანაში მიმდინარე სხვადასხვა სოციალურ პროტესტში. როგორც “უდიტორია 115”, ასევე “მაისის სტუდენტური მოძრაობა”, მხარს უჭერენ მეშახტეების, მეტროს მემანქანეების, მაღაროელების, გაფიცულ კურიერების და ა.შ პროტესტებს. შესაბამისად ამ მიმართულებით გატარებული პოლიტიკა შესწავლილი მოძრაობების კიდევ ერთ მსგავსებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

გამოყენებული ლიტერატურა

მაისის სტუდენტური მოძრაობა. (2022, 10 09). *მაისის სტუდენტური მოძრაობა.* Retrieved from www.facebook.com: https://www.facebook.com/MayStudentMovement/posts/pfbid0ztcyCr2qnGB5D429M8AFpqicTSe9ek6MH9HsFUFqVYV3yyf8iUn9oaiesjYUE4ydl?__cft__[0]=AZXSnhJNp7NKoVv6-ECNIB7TReEed2v_ie0K7OjuFMvysTqM1Y4SM6Iw18DMEi8aeC4LSkFK3TI_7wOj0OQzhS7yi23I5dvO_1rEwnicA-TiJM3Fg8cBaa6P52xboTnxjAdNvqCRK8n2U4tp7rFcycXKTncpt4krJh-sUf5rhZgb2bIXPg4GCQFgFu_F5hdykHNyX4veDjxV4HJGoyGB1Td8&__tn__=%2CO%2CP-R

মাইসিস স্টুডেন্টুরি মোদ্রাওমা. (2023, 03 01). *মাইসিস স্টুডেন্টুরি মোদ্রাওমা.* Retrieved from www.facebook.com: https://www.facebook.com/MayStudentMovement/posts/pfbid02v71PDCxUbS5vYvdQyGf6FindeUed854ScaWKVVBrre8JnTGY8kZC6wuyce1VceYGl?__cft__[0]=AZXoNYvu2Sp-gWYxow8BC0h_71A5hQgSK3E9_5ZbXdRq7aVillScKdEpxmLblKQbJ_c_nGVVWgaBNnFYgXRHHXMciO8mWJMlfspqGdzIfJezFJPESbDSc7NANeiP_hiryHoSbOIGPQIRATGEipVIz2B5YwN2I_IxtD6hFemQPFzK336uBwZ06oZ0AEDc569-M7YdtQiO1_KANgrPQ1-KKJkBWsQpKspQ_Q5yBU04OWE9UcWnfbO-joAdoksVnudy-Q8&__tn__=%2CO%2CP-R

মাইসিস স্টুডেন্টুরি মোদ্রাওমা. (2023, 06 03). *মাইসিস স্টুডেন্টুরি মোদ্রাওমা.* Retrieved from www.facebook.com:

https://www.facebook.com/MayStudentMovement/posts/pfbid0283wq981Yh4VJNmNNUgkao4ekiSW5UnueoFtiojVjWLwcyUhX1ZrhXRcXvMkLB3jrl?__cft__[0]=AZWV023MH8JkRYACN5kkKAw4DqYXbgSm2EP-qfxssXjZIMmo5ZcW0ObWM6PjHbPPxB5lflPCP0GL9R69NLerKiwPiZEmhabVU6BxrIjFZs1q_I-W7gQ40N81AFKVub78R7cPQxVIliqbwwnp5geYRfWXlZqvXJrQVD9xK5bcD1bPf5oFaVwTiDtSj-gr10le4pVeDqeRSnmzYNQpd59XxuG3&__tn__=%2CO%2CP-R

მაისის სტუდენტური მოძრაობა. (2023, 02 19). *მაისის სტუდენტური მოძრაობა.* Retrieved from www.facebook.com: https://www.facebook.com/MayStudentMovement/videos/სტუდენტები-ვუერთდებით-ბრძოლას-ღირსეული-ანაზღაურებისა-და-შრომითი-პირობებისთვისმაი/592100575720313/

მაისის სტუდენტური მოძრაობა. (2023, 02 19). *მაისის სტუდენტური მოძრაობა.* Retrieved from www.facebook.com: https://www.facebook.com/MayStudentMovement/videos/სტუდენტები-ვუერთდებით-ბრძოლას-ღირსეული-ანაზღაურებისა-და-შრომითი-პირობებისთვისმაი/592100575720313/

მაისის სტუდენტური მოძრაობა. (2023, 04 22). *მაისის სტუდენტური მოძრაობა.* Retrieved from www.facebook.com: https://www.facebook.com/MayStudentMovement/posts/pfbid024VeaTWxNqdwe7jpQyXoSwrT6YG6WpGMAiAWxqPSxKfyvzWnCLjpVHffL8fPwz4eXl?__cft__[0]=AZUkc-VnIlTmpBjKvrp_owFDpxDHlTrzGwZnwKSslcRHRK7vsBhh5OQRXxZqk_hQbk0G0AQ-67V8ZnAOCLl7CSOjfgnzy3ZCkAdWavLzducL64krjfgpvie7GBCKQHqA7i558yheG3lat4uYcoE2lhjj4nTh77o2RugwITkhmP9xOFvVe8i4mGM1TIiLPijDOQROFWjzMcGtha1U3TZVqKRS&__tn__=%2CO%2CP-R

მაისის სტუდენტური მოძრაობა. (2023, 06 23). *მაისის სტუდენტური მოძრაობა.* Retrieved from www.facebook.com: https://www.facebook.com/MayStudentMovement/posts/pfbid02puUhHe8jN36CMXxp628votVZdeVA6XY2YEKVJzkCQpqcSoVraGscjz3GJxZHKYYLl?__cft__[0]=AZUpWySeHxiT3nwbSYMhq6RsVY2UNFpd7nBobRlsnvKhA3SMRH47oGIt5M7Hcics6ajD0M_BXqIx4ausHw3OeD61J9dPe5FF7HyIYU6AtP5ezfM4I5j9kWxNijbFWLa_v_EvOWpVKRx8FUimLcbaudwVlwxXGI2f3aMtXCE6kjnmo2XVT4l86Zva9zF_2eShyRTjYqmQsTZJ7r9NAabpVucG&__tn__=%2CO%2CP-R

მანდარია, თ. (2017, 03 15). *აუდიტორია 115-ის ერთი წელი.* Retrieved from on.ge: https://on.ge/story/8108-აუდიტორია-115-ის-ერთი-წელი

ქოქოშვილი, დ. (2016, 03 11). *პრემიერი გიორგი გაფრინდაშვილს სთხოვს, თსუ-ს კანცლერის პოსტზე კანდიდატურა მოხსნას* . Retrieved from netgazeti.ge: https://netgazeti.ge/news/100727/

დიასამიძე, გ. (2016, 04 25). *სტუდენტების აქცია "არა პოლიციურ რეჟიმს!" სუს-ის შენობასთან დასრულდა* . Retrieved from netgazeti.ge: https://netgazeti.ge/news/110226/

ხაჭაპურიძე, ე. (2017, 09 20). *სასამართლომ რკინიგზასთან აქციაზე დაკავებული "აუდიტორია 115"-ის 3 წევრი დააჯარიმა* . Retrieved from netgazeti.ge: https://netgazeti.ge/news/221350/

მეფარიშვილი, მ. (2016, 03 14). *სტუდენტური თვითმმართველობისა და აუდიტორია #115-ის აქციები თსუ-ში* . Retrieved from netgazeti.ge: https://netgazeti.ge/news/101885/

თარხნიშვილი, ნ. (2022, 06 13). *რა სურთ თსუ-ს სტუდენტებს - პროტესტის ორი თვე.* Retrieved from www.radiotavisupleba.ge: https://www.radiotavisupleba.ge/a/31896271.html

თარხნიშვილი, ნ. (2022, 06 13). *რა სურთ თსუ-ს სტუდენტებს - პროტესტის ორი თვე* . Retrieved from www.radiotavisupleba.ge: https://www.radiotavisupleba.ge/a/31896271.html

ობოლაძე, ნ.ტ. (2022, 05 11). *13 მაისიდან თსუ-ში სასწავლო პროცესი ჰიბრიდულ ფორმატში გაგრძელდება* . Retrieved from www.tsu.ge: https://www.tsu.ge/en/university-newspaper/news/13-მაისიდან-თსუ-ში-სასწავლო-პროცესი-ჰიბრიდულ-ფორმატში-გაგრძელდება

ambebi.ge. (2016, 04 23). *გიორგი კვირიკაშვილი ,,აუდიტორია 115"-ის წევრებს ხვდება.* Retrieved from www.ambebi.ge: https://www.ambebi.ge/article/161975-giorgi-kvirikashvili-auditoria-115q-is-tsevrebs-khvdeba/

ambebi.ge. (2017, 02 15). *"ბიბლუსი გალერეაში" "აუდიტორია 115"-ის წევრები შეიჭრნენ.* Retrieved from www.ambebi.ge: https://www.ambebi.ge/article/192184-qbiblusi-galereashiq-qauditoria-115q-is-tsevrebi-sheitcrnen/

cnews.ge. (2022, 06 11). *ვგმობთ პროტესტის გამოხატვის ძალადობრივ ფორმებს - განათლების სამინისტრო თსუ-ზე.* Retrieved from cnews.ge: https://cnews.ge/home/news_description/34056/ვგმობთ-პროტესტის-გამოხატვის-ძალადობრივ-ფორმებს-განათლების-სამინისტრო-თსუ-ზე

formulanews.ge. (2022, 05 31). *თსუ-ში პროტესტი გრძელდება - სტუდენტები, უკვე მეორე დღეა, რექტორთან შეხვედრას ითხოვენ* - Retrieved from formulanews.ge: https://formulanews.ge/News/თსუ-ში_პროტესტი_გრძელდება_-_სტუდენტები,_უკვე_მეორე_დღეა,_რექტორთან_შეხვედრას_ითხოვენ/71669

formulanews.ge. (2022, 05 11). *განათლების სამინისტრო თსუ-ს მოუწოდებს, 2021-2022 სასწავლო წელი ჰიბრიდულ რეჟიმში დაასრულოს* . Retrieved from formulanews.ge: https://formulanews.ge/News/70411

Interpressnews.ge. (2017, 02 22). *„აუდიტორია 115“-ის მიერ თსუ-ს მეექვსე კორპუსის პიკეტირების გაგრძელების შემთხვევაში, სტუდენტებს სწავლის გაგრძელება ტურიზმის ცენტრში მოუწევთ* . Retrieved from www.interpressnews.ge: https://www.interpressnews.ge/ka/article/420012-auditoria-115-is-mier-tsu-s-meekvse-korpusis-piketirebis-gagrzelebis-shemtxvevashi-studentebs-scavlis-gagrzeleba-turizmis-centrshi-moucevt/

interpressnews.ge. (2016, 05 25). *სტუდენტური თვითმმართველობის ოთახი ”აუდიტორია 115”-ის წევრებმა ძალით დაიკავეს* . Retrieved from www.interpressnews.ge: https://www.interpressnews.ge/ka/article/381386-studenturi-tvitmmartvelobis-otaxi-auditoria-115-is-cevrebma-zalit-daikaves/

interpressnews.ge. (2016, 06 04). *”აუდიტორია 115” განათლების მინისტრს ალექსანდრე ჯეჯელავას თსუ-ში იწვევს* . Retrieved from www.interpressnews.ge: https://www.interpressnews.ge/ka/article/382949-auditoria-115-ganatlebis-ministrs-aleksandre-jejelavas-tsu-shi-icvevs/

Liberali.ge. (2016, 03 15). *აუდიტორია 115-ის სტუდენტთა მოთხოვნები* - Retrieved from Liberali.ge: https://liberali.ge/news/view/21518/auditoria-115is-studentta-motkhovnebi

manifest.ge. (2023, 03 03). *ღირსეული სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს!* Retrieved from manifest.ge: https://manifest.ge/petitions/555191/ღირსეული-სახელმწიფო-სტიპენდია-სტუდენტებს!

netgazeti.ge. (2016, 11 24). *აუდიტორია #115-მა თსუ-ის მეექვსე კორპუსი დაიკავა* - Retrieved from netgazeti.ge: https://netgazeti.ge/news/157276/

netgazeti.ge. (2020, 10 07). *გიორგი შარვაშიძე თსუ-ს რექტორის თანამდებობას ტოვებს* . Retrieved from netgazeti.ge: https://netgazeti.ge/life/634507/

on.ge. (2016, 03 07). *ჯაში: კანონპროექტში სტუდენტური თვითმმართველობის გაუქმების მოთხოვნა არ არის გათვალისწინებული* . Retrieved from on.ge: https://on.ge/story/8548-ჯაში-კანონპროექტში-თვითმმართვეელობის-გაუქმების-მოთხოვნა-არ-არის-გათვალისწინებული

on.ge. (2017, 03 07). *აუდიტორია 115-მა თსუ-ის მეექვსე კორპუსის გათავისუფლება გადაწყვიტა* . Retrieved from on.ge: https://on.ge/story/8555-აუდიტორია-115-მა-თსუ-ის-მეექვსე-კორპუსის-გათავისუფლება-გადაწყვიტა

publika.ge. (2022, 06 11). *სტუდენტური მოძრაობა განცხადებას ავრცელებს* . Retrieved from publika.ge: https://publika.ge/studenturi-modzraoba-ganckhadebas-avrcelebs/

Radiotavisupleba.ge. (2022, 11 19). *სტუდენტური მოძრაობა: პროტესტის შედეგად, თსუ საერთო საცხოვრებლის მშენებლობას იწყებს.* Retrieved from www.radiotavisupleba.ge/: https://www.radiotavisupleba.ge/a/32137986.html

studinfo.ge. (2022, 06 06). *თსუ-ის სტუდენტების ნაწილმა რექტორის გადადგომა მოითხოვა* . Retrieved from studinfo.ge: https://studinfo.ge/2022/06/06/tsu-is-studentebis-nawilma-reqtoris-gadadgoma-moitxova/

tabula.ge. (2016, 04 16). *თსუ-სთან განათლების სისტემის რეფორმის მოთხოვნით აქცია მიმდინარეობს* . Retrieved from tabula.ge: https://tabula.ge/ge/news/585163-tsu-stan-ganatlebis-sistemis-repormis-motkhovnit

tabula.ge. (2016, 05 24). *აუდიტორია 115: თვითმმართველობის წევრებმა ჩვენს ერთ-ერთ წევრს სცემეს* . Retrieved from tabula.ge: https://tabula.ge/ge/news/586273-auditoria-115-tvitmmartvelobis-cevrebma-chvens

tabula.ge. (2016, 09 26). *აუდიტორია 115-მა რექტორს და განათლების მინისტრს სიტყვით გამოსვლის საშუალება არ მისცა* . Retrieved from tabula.ge: https://tabula.ge/ge/news/590121-auditoria-115-ma-rektors-ganatlebis-ministrs

tabula.ge. (2016, 03 15). *აუდიტორია 115-ის წევრები განათლების მინისტრთან შეხვედრაზე უარს ამბობენ.* Retrieved from tabula.ge: https://tabula.ge/ge/news/584027-auditoria-115-cevrebi-ganatlebis-ministrtan

tabula.ge. (2016, 03 16). *აუდიტორია 115-ის წევრებმა უნივერსიტეტის შენობა დატოვეს* . Retrieved from tabula.ge: https://tabula.ge/ge/news/584099-auditoria-115-cevrebma-universitetis-shenoba

tabula.ge. (2016, 04 17). *სტუდენტები კვლავ თსუ-ს მე-6 კორპუსში რჩებიან* . Retrieved from tabula.ge: https://tabula.ge/ge/news/585175-studentebi-kvlav-tsu-s-me-6-korpusshi-rchebian

tabula.ge. (2016, 05 26). *განათლების სამინისტრო აუდიტორია 115-ს: ულტიმატუმის ენით საუბარი მიუღებელია* . Retrieved from tabula.ge: https://tabula.ge/ge/news/586318-ganatlebis-saministro-auditoria-115-s-ultimatumis

tabula.ge. (2016, 04 17). *პრემიერმინისტრი აუდიტორია 115-ში* . Retrieved from tabula.ge: https://tabula.ge/ge/news/585179-premierministri-auditoria-115-shi

tabula.ge. (2017, 05 09). *ტყიბულში მომხდარი შემთხვევის შესახებ აქციაზე პოლიციასთან დაპირისპირება მოხდა* . Retrieved from tabula.ge: https://tabula.ge/ge/news/596659-tqibulshi-momkhdari-shemtkhvevis-shesakheb

tabula.ge. (2017, 02 09). *GPB-ის ბორდი: შენობაში შემოჭრას ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლად ვაფასებთ* . Retrieved from tabula.ge: https://tabula.ge/ge/news/594144-gpb-bordi-shenobashi-shemochras-zhurnalistur

tabula.ge. (2018, 02 08). *თსუ-ის საიუბილეო ღონისძიებაზე აუდიტორია 115-ის წევრებს დარბაზი დაატოვებინეს* . Retrieved from tabula.ge: https://tabula.ge/ge/news/599738-rkinigzis-departamentis-cin-gamartul-aktsiaze-10

tabula.ge. (2018, 04 06). *ტყიბულის სოლიდარობის აქციაზე აქტივისტები დააკავეს* . Retrieved from tabula.ge: https://tabula.ge/ge/news/607297-tqibulis-solidarobis-aktsiaze-aktivistebi

tabula.ge. (2018, 02 14). *აუდიტორია 115-ის საპროტესტო აქციაზე პოლიციასთან დაპირისპირება მოხდა* . Retrieved from tabula.ge: https://tabula.ge/ge/news/605621-auditoria-115-saprotesto-aktsiaze-politsiastan

tabula.ge. (2020, 03 17). *აუდიტორია # 115 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეფორმირების საბჭოს ქმნის* . Retrieved from tabula.ge: https://tabula.ge/ge/news/584100-auditoria-115-tbilisis-sakhelmcipo-universitetis

tabula.ge. (2022, 06 16). *თსუ: სტუდენტებთან შევთანხმდით სამუშაო ჯგუფების შექმნაზე, გამოცდები ცენტრებში ჩატარდება* . Retrieved from tabula.ge: https://tabula.ge/ge/news/687760-tsu-studentebtan-shevtankhmdit-samushao-jgupebis

tabula.ge. (2022, 05 30). *თსუ-ს სტუდენტები ფინალური გამოცდების ჩაბარებას თბილისის გარდა კიდევ ორ ქალაქში შეძლებენ* - Retrieved from tabula.ge: https://tabula.ge/ge/news/686860-tsu-s-studentebi-pinaluri-gamotsdebis-chabarebas

tsu.ge. (2022, 06 11). *თსუ-ის პროფესორთა განცხადება* . Retrieved from www.tsu.ge: https://www.tsu.ge/ka/news/თსუ-ის-პროფესორთა-განცხადება

tsu.ge. (2023, 02 14). *თსუ სტუდენტებისთვის საცხოვრებლის მშენებლობა იწყება* . Retrieved from www.tsu.ge: https://www.tsu.ge/ka/news/%C2%A0თსუ%C2%A0სტუდენტებისთვის-საცხოვრებლის-მშენებლობა-იწყება-

tvpirveli.ge. (2022, 14 06). *დატოვეთ რექტორატი და გადადით მოლაპარაკების ფორმატზე - თსუ-ს ადმინისტრაცია სტუდენტებს მიმართავს* - Retrieved from tvpirveli.ge: https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/sazogadoeba/21482-datovet-reqtorati-da-gadadit-molaparakebis-pormatze-tsu-s-administratsia-studentebs

Altbach, P. G., & Klemenčič, M. (2014, 04 10). *Student Activism Worldwide*. Retrieved from www.insidehighered.com: https://www.insidehighered.com/views/2014/04/10/essay-importance-understanding-global-student-activism

Burgess, P. M., & Hofstetter, C. R. (1971, 11). "Student Movement": Ideology and Reality. *Midwest Political Science Association*, 687-702. Retrieved 02 24, 2023, from https://www.jstor.org/stable/2110048?origin=JSTOR-pdf

Halleck, S. L. (1971, 11). Hypotheses of Student Unrest. (e. b. Hofstetter, Ed.) *Midwest Political Science Association*. Retrieved 02 26, 2023, from http://www.jstor.org/stable/2110048

Herr, E. L. (1972, 02). Student Activism: Perspectives and Responses. *The High School Journal Vol. 55, No. 5*, 219-233. Retrieved 28 02, 2023, from https://www.jstor.org/stable/40365809

Lipset, M., & Altbach, P. G. (1966, 06). Student Politics and Higher Education in the United States. *The University of Chicago Press*, 320-349. Retrieved 02 24, 2023, from https://www.jstor.org/stable/1186225

Omatsu, G. (2002). Student Activism Resource Handbook. *Educational Opportunity Program (EOP).*

Tjhatra, A. (2022). The Meaning of "Student Movement". *The Student Movement*.

Khatia Imerlishvili

Stages of Formation of Students' Protest Movements and Their Outcomes: The Case of Georgia (2016-2020)

Abstract

Student protests can be triggered by various factors and circumstances, be it social, political or economic reasons, so it is necessary to examine these reasons scientifically and outline the relationship between the mentioned variables. Accordingly, the aim of the thesis is to examine the phases and outcomes of the emergence of student protest movements in modern Georgia using the example of "Auditoria 115" and "May Student Movement". Based on the research objective, the work is based on the qualitative research method, i.e. the analysis of secondary sources - research papers, articles, statements and interviews were studied and analysed as part of the research.

It discusses how the above-mentioned movements came into being, what their main demands were and what forms of protest they used in the initial phase. At the same time, it was discussed how the demands of the student movements were met by the university or various agencies and what were the results of their protest activities. Also, this work allows us to consider in a comparative context how identical are the demands, types of protest and forms of expression of the studied student movements.

Keywords: Student movement, Student protest, Protest movement, Auditorium 115, May movement.